

ბიზნესის ორგანიზაციული ფუნქციები

წარმატებული საქმიანობისთვის ბიზნესი იყენებს შემდეგ ორგანიზაციულ ფუნქციებს: ბუღალტერია, ადმინისტრაციული მენეჯმენტი, ბიზნესმენეჯმენტი, ფინანსები, ადამიანური რესურსების მართვა, საინფორმაციო სისტემები, დაზღვევა, მარკეტინგი, ვაჭრობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, გაყიდვები.

- მენეჯმენტი იმ საშუალებათა ერთობლიობაა, რომელთა მეშვეობითაც ორგანიზაცია (ბიზნესი) ცდილობს თავისი თანამშრომლებისა და სხვა რესურსების ეფექტიან გამოყენებას მიზნის მისაღწევად.
- მარკეტინგი საშუალება ან ხერხებია, რომელთა მეშვეობითაც ორგანიზაცია ქმნის პროდუქტებს (ან მომსახურებას), ადებს მათ ფასს და ახდენს მათ დისტრიბუციას (განაწილებას), ასევე მომხმარებლის სტიმულირებას მის შესაძენად.
- ფინანსები არის საშუალება ან ხერხები, რომლებითაც ფირმა იღებს სახსრებს საქმიანობისთვის.
- საბუღალტრო აღრიცხვა არის ფირმის ფინანსური მდგომარეობის ასახვა და ანალიზი და გამოიყენება სხვადასხვა საქმიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.
- საინფორმაციო სისტემები შეიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ადამიანებსა და სხვადასხვა გზებს ფირმაში მომუშავე ადამიანებისთვის სათანადო ინფორმაციის მისაწოდებლად. ინფორმაციით უზრუნველყოფა ეხმარება ადამიანებს საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებაში.